№ 110. მაისის 23, ოთხშაბათი. 1866—1884 მაისის 23, ოთხშაბათი. № 110.

„დროების" რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба".

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების" ფასი პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე 6 მანათი.

ამ ნომერში რვა გვერდია.

### კონსტიტუციის გადახედვა საფრანგეთში

თბილისი, მაისის 23 ს.

თოთხმეტი წელიწადია, რაც საფრანგეთში მესამე რესპუბლიკა არსებობს და ამ თოთხმეტის წლის განმავლობაში იქაური საპოლიტიკო წყობილებას ბევრჯერ შიში დასდგომია და დიდი შიშიც. საფრანგეთს განაგებენ სამინისტროს კომიტეტი რესპუბლიკის პრეზიდენტის მოთავეობით, სენატი და დეპუტატთა პალატა. ეს უკანასკნელი შესდგება ხალხის პირდაპირ წარმომადგენელთაგან და რესპუბლიკის დარაჯობაც თითქმის მხოლოდ მასა აქვს ჩაბარებული. რამდენჯერმე მოინდომა ამ თოთხმეტის წლის განმავლობაში მინისტრთა კომიტეტმა რესპუბლიკის დამხობა, პრეზიდენტიც მოიმხრო, სენატიც, დეპუტატთა პალატის დათხოვნაც განიზრახა და დაითხოვა კიდეც, მაგრამ, რაკი ხალხი რესპუბლიკის მომხრე იყო, კვალად და კვალად პალატაში რესპუბლიკელებსა ჰგზავნიდა და რეაქციონულ მინისტრებს ცდა ამაოდ ჩაუვლიდა ხოლმე.

მაგრამ ყოველთვის ასე ადვილად არა თავდება საქმე: როცა სახელმწიფოში ორი უფლება ერთი-ერთმანეთს მხარს მისცემს, მესამეს გაუძნელდება მათთან ბრძოლა, რაც უნდა სიმამაცე და გაბედულობა გამოიჩინოს ამ „მესამემ". და ხანდისხან დეპუტატთა პალატას, თუმცა იგი პირდაპირი წარმომადგენელი იყო საფრანგეთის ხალხისა, უძნელდებოდა შებმა მინისტრთა კომიტეტებთან და საფრანგეთის პრეზიდენტთან (მეტადრე მაკ-მაჰონის დროს), როდესაც უკანასკნელნი სენატზედ დაემყარებოდენ და ურჩის პალატის დამორჩილებას მოიწადინებდენ ხოლმე. მაკ-მაჰონმა მხოლოდ მაშინ გაბედა გამოჩენილი ფრაზის თქმა: „მე აქა ვარ და აქვე დავრჩებიო", ანუ, მდაბიურად რომ ვსთქვათ, «დავჯექ და აღარ ავსდგებიო», როცა სენატის უმეტესობა რეაქციონერებისაგან შესდგებოდა.

ეხლა ამ ბურჯს რეაქციონერებისას, სენატს, ცვლილება მოელის. აქამდის იგი შესდგებოდა ზოგი სიკვდილამდე გამოუცვლელი სენატორებისაგან, რომელთაც თითონ სენატი ირჩევდა, და ზოგი იმ სენატორებისაგან, რომელთაც ირჩევდენ ქალაქების მუნიციპალური და დეპარტამენტების საბჭონი. ამ გვარად სენატი არ იყო პირდაპირი წარმომადგენელი ხალხისა და ხშირად თავ-მოყვარე მინისტრებს ერთგულ სამსახურს უწევდა. მაგრამ საფრანგეთში იმედი აქვთ, რომ ამ ცოტას ხანში ბოლო მოეღება სენატის ამ გვარს წყობილებას და ერთის თვის განმავლობაში უმთავრესად ამ საგნის შესახებ კონსტიტუციის გადახედვასაც აპირობენ. პროექტი გადახედვისა კიდეც შეუტანია პალატაში მინისტრთა რჩევის პრეზიდენტს ჟულ-ფერის და რადიკალს ფლოკეს შემდეგი დაუმატებია: საჭიროა, რომ სენატორებს პირდაპირ ხალხი ირჩევდეს; რომ სენატსა და პალატას თანაბარი უფლება ჰქონდეთ და პალატის მოქმედების შეჩერება არავის შეეძლოს; თითონ პალატა გადასწყვეტდეს ხოლმე—როდის უნდა გაათაოს თავის სესია და ხელახლავ როდის დაიწყოს.

ამ გვარი ცვლილება, უეჭველია, რეაქციონერებს უკანასკნელს კბილს მოსტეხს.

### შინაური ქრონიკა

== მკითხველს იქნება ახსოვდეს, რომ ჩვენს გაზეთში ამას წინად იყო დაბეჭდილი ორი თუ სამი წერილი სოფ. ხოვლედან იქაური მასწავლებლისა, ზ. ჭიჭინაძისა, რომლითაც უკანასკნელი აუწყებდა საზოგადოებას კითხვის ხალისის გავრცელებას თავის სოფელში და სთხოვდა „წერა-კითხვის საზოგადოებას" დახმარებას. მასუკან სასიამოვნოდ აღგვიწერდა იგივე მასწავლებელი, თუ როგორი სიხარული შეუდგათ იქაურ ბავშვებსა და დიდებსაც კი, როდესაც მიუვიდათ ხსენებული საზოგადოებისაგან წიგნები და უფასოდ დაურიგდათ. ჩვენ მოგვივიდა სამწუხარო ამბავი, რომ ზ. ჭიჭინაძე, რომელზედ სხვათაშორისაც კაი ხმები გაგვიგონია, როგორც სოფლის მასწავლებელზედ, სამის დღის ავად-მყოფობის შემდეგ გარდაცვლილა ქ. გორში და წარსულს შაბათს დაუმარხავთ.

---

«დროების» ფელეტონი მაისის 22-ს.

### სამგვარი სიყვარული.

I

გამოუცდელი

ხმა ახალი დაწმენდილი მქონდა. ის ის იყო ულვაშები მემწვანებოდა; სიჭაბუკის საოცნებო ძლიერება ძვალ-რბილში მქონდა გამჯდარი; მიწაზე ფეხს აღარ ვაკარებდი: ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედა-მიწა ქალამნად! გული გრძნობად და გონება ოცნებად გადაქცეული, მეშვიდე ცაზე მიმაფრენდენ; ქვეყანა ჩემს ნებაზედ ჰბრუნავდა და ბედნიერ აწმყოს უეჭველის მომავალით ვიგვირგვინებდი. მხოლოდ ერთი რამ მაკლდა: რაღაც უცხო და უცნაური, რომელსაც, ერთსა და იმავე დროს, შევეტრფოდი და თანვე ვკრძალობდი, ვეთაყვნებოდი და ვეშინოდი!... თურმე სიყვარული მეწვეოდა. რაღაც ამომეტორლიალა... ვილაც ამედევნა თან; გამოურკვევლად თვალწინ მებლანდებოდა, ყურში საიდუმლოდ ჩამჩურჩულებდა და მით გულს საგულეზედ აღარ მიჩერებდა: ის ხან უცნაურად ტოკავდა და ხან საოცრად შეიფართხალებდა ხოლმე. იმ «ვილაცამ», თუ «რაღაცამ» ხელი დამრია: დღე მაშფოთებდა და ღამე ძილს მიფთხობდა. მწამდა კი რომ ეს „ვილაცა" ერთს დროს უნდა გამომცხადებოდა და ამ თავითვე წარმოვიდგინე ის ჩემის გრძნობის გვარად და სურვილის ფერად.—ქვეყნის დასაბამიდან დასასრულამდე, კიდით-კიდე, ზესკნელ-ქვესკნელად მიმოვაფრინე მკვირცხლი ოცნება, ამოვჰკრიფე ყოველივე სანეტარო, შევაერთე; შეუძლებელს შესაძლებელი მიუმატე, შევადგინე სახე იმ „ვილაცასი" და გავიხადე სათაყვანოდ.—იმ დღიდან ამ «ვილაცის» ლოდინით მთვრალს, ხელთ მეპყრა საოცნებო ჩონგური და მისის სიმების ჟღერით ვიწოდებდი იმ «საჩემოს».

ერთხელ გაზაფხულის პირზედ ჩეროში ვიჯექ და თვალ-ყურს ვადევნებდი იქვე ახლოს ჩამომჩქეფარ პატარა მდინარეს. ჩვეულებრივად ოცნებით გატაცებულს თვალწინ მეხატებოდა ჩემი «ვილაცა»: ვითომც ის იდგა წყალში და ტანს იბანდა. წელ-ქვეით წყალი ჰფარავდა (და რომ ისეც არ ყოფილიყო, მაინც ცისარტყელით შებურვილად მომეჩვენებოდა), წელზეით კი შიშველი იყო. ხან ჩაიყურყუმალებდა, ხან ისევ სირინოზივით ამოჰყოფდა ხოლმე თავს და მაშინ მის სპეტაკ გულ-მკერდსა და მხარ-ბეჭებზედ აქა-იქ წმინდა წვეთები პატარ-პატარა ბურთივით მოჰგორავდენ, თითქოს მარგალიტები ეფრქვევიანო. ნაზის ღიმილით ეალერსებოდა წყლის სარკეში ჩაშუქებულ მისს მშვენიერებას. ზოგჯერ მორცხვად მომკრავდა ხოლმე თვალს და სახე ვარდის ფრად ელებებოდა, თითქოს რცხვენოდა ჩემი... რცხვენოდა, მაგრამ მაინც სუროდა, რომ მე მისთვის თვალი არ მომეშორებინა. ამ დროს ჯოჯოხეთის ხმით ჩამჩხავლეს ყურში!... მოვიხედე და რა ვნახე?! ჩემ გვერდით იდგა ერთი რაღაცა!... განა მართლა მაიმუნი? არა! ის ქალი იყო, თავის-თავად დიახაც მშვენიერი, მაგრამ შედარებით კი იმ ჩემ „ვილაცასთან" რაღაცაც იყო და მაიმუნიც!

—თუ უკაცრავად არ გახლდეთ, მიბძანეთ: ყმაწვილებს ხომ არ ჩამოუვლიათ ერთის მოხუცებულის გამდლითი?—მკითხა იმ ქალმა.

—რა მოგახსენო, სწორედ არ შემინიშნავს-მეთქი!—ვუპასუხე ცივად. მეგონა, თუ ამით მოვიშორებდი იმ უსიამოვნო სტუმარს, მაგრამ იმან ღიმილით სთქვა: „ნეტავ, სად დაიგვიანესო?" და ამომიჯდა გვერდით. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ისევ მკითხა: «ეგება ვერც კი შენიშნეთ? ისეთ ნაირად იყავით ჩაფიქრებული რომ...

—დიაღ, მარტოობაში ოცნებამ გამიტაცა,—გავაწყვეტინე სიტყვა.

—ოცნებამ?! მერე და თქვენთან რა უნდა ოცნებას? ეგ ხომ მარტო ქალების ხელობაა?... მაგრამ მე ძალიან მომწონს, როდესაც კაცი ოცნებობს!... მაშინ ეტყობა, რომ ის ნაზი გრძნობის პატრონია.

—შეიძლება.

—ჰმ! თქვენ, ვგონებ, ანკესი გაქვსთ გადაგდებული იმ წყალში?

—ანკესი?!

—დიაღ. აბა რაღ მისჩერებოდით ისე თვალ-გამოშტერებით იმ ერთს ადგილს მდინარისაკენ? უთუოდ გინდოდათ დაგენახათ, თუ როგორ მოედებოდა საბრალო თევზი ნემსის წვერზედ?

—არა. მე საზოგადოდ არ მიყვარს ნადირობა!

—ძალიან კარგი ხასიათი გქონიათ! ქალებს იმიტომ უყვარსთ ნადირობა, რომ მოსისხლეები არიან.

—ქალებმაც რომ ძალიან იციან თევზაობა?

—იმიტომ რომ ეგ უსისხლო ნადირობაა და კარგი ხელობაც არის. ჯერ თავის შესაქცევია და მერე კიდევ სასარგებლოც; პატარ-პატარა თევზებზედ სწავლობენ ქალები ნადირობას და მერე თქვენ-ხელა ლოქოსაც დაიჭერენ ხოლმე.

—როგორ თუ ჩემ-ხელა ლოქოს?

—მაშ?! ჯერ ანკესი არავის მოუდვია თქვენთვის?

ამ სიტყვებმა უცბად გამაანჩხლეს. ეკალ-ნაჩხვლეტივით წამოვვარდი ზეზე და დავეშვი თავდაღმართისკენ. მეტის გულ-მოსულობით ფეხიც წამოვჰკარ ქვას და იმან კიდევ უფრო გამაბრაზა.—იმ დღეს ჩემს გუნებაზედ აღარ ვყოფილვარ. ეს ვინ ოხერი გადამეკიდა, რომ ჯერ ოცნება მომიწყვლა და მერე კიდევ ისე საცინლადაც ამიგდო, რომ ლოქოს შემადარა-მეთქი?—ვამბობდი გუნებაში. მეორე დღეს, დილაადრიან, ბაღისკენ მივდიოდი და ჯერ შუა გზაც არ მქონდა გავლილი, რომ გადასახვევთან ის გუშინდელი წყეული წინ შემეფეთა, გადამიღობა გზა და მითხრა: ნება მომეცით, რომ ბოდიში მოვითხოვო თქვენთან, ყმაწვილო! დიდ დამნაშავედ ვგრძნობ ჩემს თავს რომ გუშინ ისე წინ-დაუხედავად გატკინეთ გული! ღმერთმან ხომ იცის, რომ გულით არა მდომებია, ისე წამოვროშე მოუფიქრებლად და კიდეც დამრჩა სანანებლად. წუხელი მთელი ღამე ძილი აღარ მომკა-

განსვენებულის ზნეობითი სურათის გასაცნობად საკმარისია მოვიხსენოთ, რომ იგი თურმე თავის ისედაც მცირე ჯამაგირს ანარჩუნებდა და თავის ძმას უგზავნიდა, რომელიც რუსეთში ერთ-ერთ უმაღლესს სასწავლებელში სწავლობს. ჭეშმარიტად სამწუხაროა, ასე უდროოდ ამ გვარი მოღვაწის დაკარგვა.

— დ. ქიურდამირიდამ (ბაქოს გუბერნია) გვწერენ მაისის 20-დამ: «ის ყაჩაღები, რომელშიც ამ ორი კვირის წინად გადმოვიდნენ სპარსეთის საზღვარზედ და რომელნიც მეორე დღესვე ოც-და-თხუთმეტიდგან შეიქმნენ ორმოც-და-ხუთი, დღეს სამოცამდე ითვლებიან. ისე დღე არ გადის, რომ ერთი ან ორი სოფელი არ გაცარცვონ და ისიც დღე. ისეთი გული მოიცეს, რომ ადმინისტრაციასაც კი სდევნიან. გუშინ-წინ საღამოს მათ შორის მინდორში დაუნახავთ მიმავალი პრისტავი შურცელაძე ოც-და-ათი ყაზახი-რუსით, თუ ჩაფრებითა, მაშინათვე გამოჰკიდებიან უკან თოფის სროლით. პრისტავის ცხენი მოუკლავთ და თითონ კი, კაცმა არ იცის, ტყვედ წაიყვანეს, დაჰკრილი გდია სადმე, თუ ქვევითი გაიქცა და დაიმალა. ერთი ყაზახი-რუსი ამ შემთხვევაში მძიმედ დაუჭრიათ და ორი მსუბუქად. შურცელაძის საძებრად გაემგზავრა დღეს მაზრის უფროსი. წუხელის მათვე გაუცარცვავთ ორი სოფელი აჯიკაბულის სტანციის სიახლოვეს. ხალხი საშინლად შეშინებულია მით უფრო, რომ ვერავინ რას გახდა ყაჩაღებთან. ოთხი ცხენი მარტო თოფის პატრონებით დატვირთული დაჰყავთ თან თურმე, გარდა იმისა, რაც თანა აქვთ და საჯდომ ცხენზედ უკიდიათ. თითონ პიბოდის თოფებით არიან დაიარაღებულნი. თვითეულ ბინაზედ ორ-ორ სამ-სამ დღეს უშიშრად ათევენ. მათ რიცხვშია თურმე გამოჩენილი ხოდორ-ოღლი და ჰუსეინ-ალი, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინად დღე, იარმარკობის დროს, დაბა ქარამარიანი გაცარცვა. მოლა სადიხი მათში თურმე არ იმყოფება. თუ სასტიკი, ენერგიული ზომები არ მიიღო მთავრობამ მათს წინააღმდეგ, თქვენი მტერი, რომ ეს მხარე მთლად გატიალდება ამ ცოტა ხანში; მაინც ბევრი აღარა აკლია-რა. ვეცდები შეტყობინებას, თუ კიდევ გავიგე რამე ამ ავაზაკებზედ.

აქ საშინელი სიცხეებია; ადის ორმოც-და-ოთხ გრადუსამდე.“

— ამ თვის 23 მოსული წვიმა, რომელმაც გასტანა მთელი დღე და ღამე, საშინელი ნიაღვარით მოაწვა ქალაქის მთების გაყოლება ნაწილებს. ვიწრო ქუჩებში ნამდვილ გაშმაგებულს მდინარესავით მოჰქუხდა გარშემო მოტიტვლებულის მთებიდამ ქვა-ლოდით უხვად შეკმაზული ნიაღვარი, უხტებოდა სარდაფებს, ამტვრევდა და აფუჭებდა, რაც რამ კი წინ დახვდებოდა. ავჭალის ქუჩაზე კი, რომელიც მთის ქედიდამ ბევრად უფრო დაშორებულია, ვიდრე, მაგ., მთაწმინდის არე-მარე, ნიაღვარს აუცურვებია მიმავალი ფაიტონი შიგ მსხდომებითურთ, რომელნიც ძლივს გადაურჩენიათ უბედურებისაგან ქუჩის ნაპირა სახლებში მცხოვრებლებს...

ამისთანა შემთხვევა, სხვა ქუჩებშიაც არა მცირედი ყოფილა: სურ-ქარაპეტის ხევში, ლენჩიშვილის საპნის ქარხანებთან, უნახავთ ერთი ნიაღვრისგან დამხრჩვალი უნტერ-ოფიცერი, რომელსაც თავ-პირი სულ-ერთიანად დამტვრეული ჰქონია და ერთ-ხეზედ ორივე ხელით შემოხვეული ყოფილა. ეს უნტერ-ოფიცერი არსენალის მხრიდამ წამოუღია ნიაღვარს.

ავლაბარში კიდევ ერთს საწყალს დედა-კაცს შევარდნია სახლში ნიაღვარი და კინაღამ თავისი ორი პატარა ყმაწვილითურთ დაუხრჩვია. ეს დედაკაცი და ყმაწვილები ტახტზე თურმე ისხდენ და ამ დროს უცებ შევარდა ნიაღვარი ისეთი ძალით, რომ მაშინათვე ტახტი დედა-კაციანად და ბავშვებიანად ასწია მაღლა და მოიტივტივა, ასე რომ გაშტერებული დედაკაცი და ბავშვები ზედ შერჩნენ და რამდენიმე ხანს დაცურავდენ წყალში. მათი დაღუპვა აუცილებელი იყო თურმე, ერთი ვიღაც ყოჩაღი მენახშირე რომ არ შესწრობოდა. ვერც პოლიციამ და ვერც არავინ სხვამ ვერ გაბედა შველა უბედური და სასო-მიხდილი დედა-კაცისა, რომელსაც მიეკრა გულში თავის პატარა შვილები, გულის საკლავად თურმე ყვიროდა და ევედრებოდა ხალხს უბედურებისგან დახსნას. ამ დროს, როგორც მხსნელი ანგელოზი, საიდგანღაც გაჩნდა მენახშირე, შევარდა სახლში დინჯად, გულადად, გამოიყვანა იქიდგან უბედური დედა-შვილნი და ამ დროს კიდეც ჩამოწვა ბანი. ერთი წამიც რომ დასცლოდათ, მათი დახსნა შეუძლებელი-ღა იყო, — ჩამოქცეული ბანი ქვეშ მოიტანდა!.. — ამასთანავე რიყეზე, მალაკნების ქუჩაზე, მეოთხე განყოფილების მომრიგებელ სასამართლოსთან, საათის 11-ზე, ნიაღვრისაგანვე მოგლეჯილა უშველებელი კედე «პოკროვსკის» ყაზარმების მხრიდამ და ზედ ქუჩაზე ჩამოწოლილა. უბედურება არაფერი მომხდარა, რადგანაც ამ დროს ნიაღვრის გამო არავის ულია ამ ქუჩაზედ, — მხოლოდ ერთი მალაკნის სახლისთვის ფანჯრები ჩაუმტვრევია. გუშინვე გაუწმენდიათ ეს ქუჩა და ცხენის-რკინის გზის ვაგონებს ჩვეულებრივ დაუწყვიათ სიარული.

ყოველთვის, წვიმიანობის დროს, ამისთანა ხიფათი ეწვევა ხოლმე ჩვენი ქალაქის უბანთა უმეტესს ნაწილს იმის გამოისობით, რომ გარშემო მთის ქედები, ამ 60-ოდე წლის წინად ტევრით მოცული, დღეს სრულიად მოკლებულია ყოველ გვარ მცენარეობას და წარმოადგენენ სამწუხარო სანახავს მზისაგან გადამწვარს ქვიშა-კლდეღრიანკალებისას. ნუთუ დრო არ არის და არა ღირს, რომ ქალაქმაც და მმართებლობამაც ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ მათს ხელ-ახლავ ტყით გაშენების საქმეს?!

— სოფ. მარტყოფიდამ გვწერენ, რომ ჯე-ჯეროვით ყანებს ჩინებული პირი უჩანთ, თუ შემდეგშიაც ცუდმა ამინდებმა არ დააზიანესო. რაც შეეხება ვაზებს, ისინიც პირველად ძლიერ კარგს იმედებს გვაძლევდენ, მაგრამ ბოლოს კი სულ ერთიანად შეახმათ კვირტებიო. მცოდნე პირს გამოუკვლევია, რომ ვაზის კვირტების შეხმობა

---

დებია და დღესაც, თუ არ მენახე, ვგონებ, ლუკმა არ ჩაიდიოდა ჩემს პირშიო!.. ეს სიტყვები ისეთის ათრთოლებულის ხმით მითხრა და ისე საცოდავადაც შემომხედა, რომ გული უნებურად გადამიბრუნდა და რაღაც წავილუღლუღე. მხოლოდ ეს კი მახსოვს, რომ ვსთქვი: «მაგოდენი საბოდიშო არ იყო-მეთქი!» — ქალმა შერიგების ნიშნად ხელი გამომიშვირა, მეც ჩამოვართვი და, ცოტა არ იყოს, რომ როგორღაც ის პაწაწა ხელი სასიამოვნოდ მერბილ-მეთბილა. ქუდ-მოხდით მძიმედ თავი დავუკარი და გავშორდი. კარგა მალი გზა მქონდა გავლილი, რომ რაღაცამ ჩემდა უნებურად მიმახედა უკანვე. ის ქალი იმავ ადგილზე იდგა და მე მადევნებდა თვალს. დამინახა თუ არა, უცბად გატრიალდა და წავიდა. — „რა გულ-კეთილი რამ ყოფილა-მეთქი“, ვსთქვი გუნებაში და გავსწიე ბაღისკენ! იქ ერთი მყუდრო ალაგი გამოვძებნე, დავჯექ ხის ქვეშ და ჩემებურად ვარსკვლავებს დავუწყე კრეფა. რაღა თქმა უნდა, ჩემი «ვიღაცაც» იქ გაჩნდა და ყველაფერი ვუამბე, რაც გადამხდა. იმან მაშინვე იმ ქალის გაცნობა მოინდომა და არც მე მწყენია!.. „მართლა, რომ კარგი იქნება ის გულკეთილი ქალი ამ ჩემის «ვიღაცას» მოახლეთ-მეთქი», — ვფიქრობდი და თანაც სისრულეში მომყავდა ეს სურვილი, ასე რომ საღამომდე არა თუ მოახლედ გავაცანი, — კიდეც დავუმეგობრე, ისე რომ უერთმანეთოდ წყალსაც აღარ აქცევდენ ჩემი «ვიღაცა» და ის ქალი. ამ დღიდან დაწყებული თინათინის ნახვა (ეს სახელი ერქვა იმ ქალს) მენატრებოდა და კიდევაც ვხედავდით ერთმანეთს. ჩემზე ნაკლებად აღარც თინათინს ენატრებოდა ჩემი ნახვა. მე მიყვარდა ის მისთვის, რომ ჩემი „ვიღაცას“ მეგობარი იყო — და იმასაც, მეგონა, იმიტომ ვუყვარდი, რომ მე მისი მეგობარი „ვიღაცა“ მიყვარდა. ეს ისე ბეჯითად გადავიწყვიტე გუნებაში, რომ საეჭვოდ აღარ მიმაჩნდა და «ვიღაცას» წარმოდგენა უთინათინოდ აღარ შემეძლო!.. ორივეს ერთად ვხედავდი, თუმცა ზოგჯერ თინათინთან საუბრის დროს ჩემი «ვიღაცა» აღარ იყო ხოლმე. რამდენიც დრო გადიოდა, უფრო-და-უფრო ხშირად ვხედავდით ერთმანეთს მე და იმ ჩემის «ვიღაცას» ერთგული მეგობარი და რომ ქვეყანას ყბად არ ავეღეთ, მჭირდავების თვალის ასაშორებლად გამოვძებნიდით ხოლმე სადმე მიყრუებულ ადგილს, იქ ვისხდით და ტკბილად ვსაუბრობდით.

ერთხელ ნამეტნავად შეგვიყოვნებია უცხო ბაასმა; შუაღამე გადასული იყო, რომ დავბრუნდით შინ. თვალები დახუჭე თუ არა, მაშინვე ამიფერადდენ სხვა-და-სხვა სიზმრები. სხვათა-შორის ვნახე, რომ მე, ვითომც, ავადა ვარ სახადით, ცოტათი უკეთობაში შევდივარ. თავი იმ ჩემის «ვიღაცას» კალთაში მიდევს; ის ალერსიანად დამყურებს, შუბლზე ხელს მისვამს და ცივ ოფლსა მწმენდს. ცოტა ხნით თვალსა ვხუჭავ, მერე ისევ ვახელ და რასა ვხედავ? ჩემი „ვიღაცა“ გამქრალა, მის ადგილზედ თინათინ დამჯდარა და მის კალთაში მიძევს თავი. საკვირველია, ეს ა'ა თუ არა მწყინს, კიდეც მიხარია და ვნატრობ: ნეტავი, ჯერ კიდევ არ შემოვიდოდეს ჩემი „ვიღაცა-მეთქი“!.. სიამოვნებით შევჰყურებ თინათინს და მეჩვენება, რომ ამას თვალები იმ ჩემი «ვიღაცასი» ჰქონია და აქამდე კი არ შემინიშნავს. მართალია, იმას ცის-ფერი თვალები ჰქონდა და ამას შავი, მაგრამ მაინც ერთი და იგივეა! განა მარტო თვალები? — ცხვირი... პირი... საკვირველია! საკვირველი!! იმასავით რომ თეთრი ტანისამოსიც აცვია?!. ადრე რატომ ვერა ვნიშნავდი? სად ვიყავი? ახლა კი ვხედავ, რომ ეს თინათინიც არის და «ვიღაცაც»! «ვიღაცაც» და თინათინიც!.. მინდა შევიტყო! მინდა ამასვე გამოვჰკითხო, თუ როგორ მოხდა ეს? მაგრამ ენა რომ აღარა მაქვს საძრავი პირში! ნუ თუ ასე ძალიან ავადა ვარ? ვკვდები? მგება, მკვდარიც ვიყო, მაგრამ ეს ჩემი «ვიღაცა — თინათინი» რას უყურებს მერე? მგება, ვერ მატყობს?!.. აბა ერთი ვანიშნო! მაგრამ როგორ? ხმა არა მაქვს?:. ვეღარ ვინძრევი!.. თვალებით ვანიშნებ, მაგრამ ვერ მიხვდა. ახა, ღმერთო! ჭირის ოფლი მასქდება... აი სახლმა ტრიალი დაიწყო. ჭერიც ვარდება. აჰ! აჰ! აჰ! ააჰ! ვაი!.. აქ გამომეღვიძა, უეცრად წამოვარდი, მივიხედ-მოვიხედე და მივხვდი, რომ სიზმარში ვიყავი. მიამა, მაგრამ ცუდ-გუნებაზედ კი ავდექი მაინც. მზე მაღლა იყო წამოსული! — ამ სიზმრის შემდეგ, თუმცა სული მიმდიოდა მენახა; მაგრამ ხუთის დღის განმავლობაში ვეღარსად შევხვდი თინათინს, თითქოს ცამ ჩაყლაპაო. ფიქრებმა წამიღეს. ვაი თუ წავიდა სადმე? ან თუ ავად არის-მეთქი? «ვსწუხდი და კანკალი მომდიოდა. თურმე მართლა უღონოდ ყოფილიყო. მეექვსე დღეს შორს მოვატანე თვალი და მივაშურე. რამდენიც ვუახლოვდებოდი, იმდენი უფრო ძლიერად მიძგერდა გული და რომ მივუახლოვდი, ყელში დამიწყო ცემა. ცოტა მიებნიდა უქეიფობას, შემომხედა და გაიღიმა! — გამიღიმა და იმაზედ უტკბესი ღიმილი არც მანამდე მენახა და აღარც შემდეგ მინახავს!.. დიდხანს შევჩერებოდი უხმოდ გრძნობა მორეული და მის ალერსიან სიტყვებს პასუხს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვაძლევდი. საკვირველია, რაც მეტს მივჩერებოდი, უფრო და უფრო მაგონებდა იმ ჩემ «ვიღაცას» და მით, რაღა თქმა უნდა, უფრო ძლიერად იზიდავდა მისკენ ჩემს გრძნობა-გონებას. ამ გვარად დღეს ხვალიობით იმდენზედ მიმიყვანა, რომ უთინათინოდ სუნთქვაც აღარ მეხერხებოდა, ნელნელა ჩემი „ვიღაცა“ თან-და-თან მავიწყდებოდა. მაგრამ ეს რა ვსთქვი? მავიწყდებოდა კი არა, თინათინად იქცეოდა და ბოლოს სულაც გამითინათინდა!.. შევტოპე სიყვარულის მორევში, შევტოპე და კიდეც დამძირა. ყოველ დღე ვხედავდი იმ ჩემ სატრფოს, მაგრამ მაინც კიდევ ვერა ვძღებოდი მისის ჭვრეტით!.. ის შევუწონე მთელ ჩემს სიცოცხლეს და მთელ ქვეყანას, მის მეტი აღარა მაგონდებოდა რა და თუ კიდევ რამ სხვაც მომწონდა, მისით და მის გამო, ვგრძნობდით, რომ ერთმანერთი გვიყვარდა, მაგრამ გამოთქმას ვერა ვბედავდით.

(შემდეგი იქნება)

ყოფილა შედეგი მათში მატლების გაჩენისა. პარგი იქნებოდა, სამართლიანად ამბობს კორესპონდენტი, რომ «სამეურნეო საზოგადოება, ან ფილოქსერის კომისია, მარტყოფის ვენახების სნეულებას უფრო საფუძვლიანად გამოიკვლევდეს».

== დღეს, ოთხშაბათს, სამეურნეო საზოგადოების ზალაში, საღამოს $7^1/_2$ საათზედ დანიშნულია საზოგადო კრება ამ საზოგადოებისა, რომელზედაც განიხილავენ მთავარ-მმართებლის პროექტს შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა მოეწყოს საქმე ხალხის დახმარებისა სურსათით კავკასიაში მოუსავლობის დროს.

== კვირას მოხდა საზოგადო წლიური კრება თბილისის საკრედიტო საზოგადოებისა, რომელზედაც თავმჯდომარედ უკენჭოდ ერთხმად ამორჩეულ იქმნა ისევ ძველი თავმჯდომარე თ. ნ. ამატუნი. კრებამ გადასწყვიტა გამგეობის წევრთა ჯამაგირების მომატება. თავმჯდომარეს 3000 მანათიდამ 6000 მან. გაუხადა და გამგეობის წევრთა 2000 მანათიდამ 3500 მან.

== ჩვენ შევიტყეთ, რომ ონიკოვისა, ზუბალოვისა და კამპანიის ორთქლით პურის საცხობი რამდენიმე ხნით იკეტება, რადგან გადაკეთება ეჭირვება.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

მაისის 21-ს.

**პეტერბურგი.** ჰფიქრობენ დანიშნონ საკარანტინო ადგილები და ბაქო დაადგან ყველა იმ საქონელს, რომელიც შემოაქვთ შუა აზიიდგან იმიერ-კასპიის მხრით.

**მოსკოვი.** ქვრივი ბულახის საქმის განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ ბულახისას მიუცია არქიერი ფილოფეისთვის 30,000 მანათი, რათა ამ უკანასკნელს დაელოცნა მაზურინისა ალტაისკენ წასასვლელად სარწმუნოების საქადაგებლად. ფილოფეის შეჭმინების ამ მოქმედების გამოაშკარავებისა და პასუხის-გებაში მიცემისა და ამისგამო შეუძლოდ შემცდარა. ფილოფეის სიკვდილის შემდეგ, 30,000 მანათი სრულად იპოვნეს იმის სახლში. ბრალდებული ბულახისა აქამდინ ჯიუტობდა, სრულებით არაფერს ამბობდა და თავმჯდომარის კითხვებზედ მარტო თავს იქნევდა; ეხლა კი დაიწყო თავის მოსარჩლისადმი შენიშვნებით მიმართვა.

**ტაშკენტი.** კალია, რომელიც კურამინის მაზრის ცამეტ სამამასახლისოში გაჩნდა, სულ ერთიანად გაწყვიტეს. ისე ბევრი კალია იყო, რომ, რომლესაც მოდიოდა, 15 ვერსი სიგძე და 7 ვერსი სიგანე სივრცე ეჭირა; იმათ დასახოცად 20,000 მუშა კურამის მაზრიდგან და 6000 კაციც ტაშკენტიდგან გამოიყვანეს; მუშაობის ხელმძღვანელებად იყვნენ მაზრის უფროსი და ოფიცრები.

**ნიში.** სერბიამ იჩივლა ბულგარიასთან იმაზედ, რომ ტიმოკის ოლქს ავაზაკები ესხმიან. ბულგარიის მმართებლობამ განუსაზღვრელი პასუხი მისცა ამაზედ და ამის გამო სერბიის მმართებლობამ მისწერა სერბიის წარმომადგენელს, რათა მოსთხოვოს სწორე პასუხი ამ საქმის შესახებ, და უკეთუ არ დააკმაყოფილონ, წამოვიდეს სოფიიდგან.

**ლონდონი.** სუდანიდგან მოვიდა ამბავი, რომ აჯანყებულებს ბერბერი აუღიათ.

**ბერლინი.** გუშინ უეცრად მოკვდა გამოჩენილი რკინის-გზის მეპატრონე სტრუსბერგი, რომელიც მოსკოვში ბანკის პროცესში ერია.

მაისის 22-ს.

**პეტერბურგი.** გაზეთები იუწყებიან, რომ ამ დღეებში სახელმწიფო რჩევაში სჯა იყო ზოგიერთა საგნებზე შესახებ ნაფიც მოსამართლეთა: ეხლანდელი წესი ნაფიც მოსამართლეთა სიების შედგენისა გამოსადეგად ვერ იცნეს. ამიტომ გადასწყვიტეს რომ სიების შემდგენელთა კომისიებში მოწვეულ იქმნენ საპროკურორო ნაწილის წარმომადგენელნი. გამოუსადეგად იცნეს ეგრეთვე ეხლანდელი წესები შესახებ ნაფიც მოსამართლეთა გადაყენებისა. ორსავ მხარეს ამას იქით მიეცემა უფლება 12 ნაფიც მოსამართლეს მაგიერად მხოლოდ 6-ს გადაყენებისა; სახელდობრ სამის გადაყენება შეეძლება პროკურორს და სამისა დამცველსა.

**პარიჟი.** გუშინდელ ბანკებზე ამიენში ფერიმ წარმოსთქვა სიტყვა და სთქვა რომ მინისტრთა კაბინეტის პოლიტიკა საფრანგეთის გრძნობასა და სურვილს ეთანხმება ამას ამტკიცებენო, სხვათა შორის, ქალაქების საზოგადო ამორჩევები, რომელნიც ყველგან იმითი გათავდენ, რომ მმართებლობის მომხრეთა აჯობეს თავიანთ მოწინააღმდეგეთა, განსაკუთრებით შეურიგებელთა.

**კაირი.** ბერბერის აღების ამბავი აჯანყებულების მიერ მტკიცდება. პირიქით, იქაურმა გუბერნატორმა დაამარცხა აჯანყებულები. კარგა დიდი ნაწილი დონგოლოს პროვინციისა ეხლა დამშვიდებულია. გორდონიც მარჯვედ მოქმედობს, აჯანყებულები სუაკიმს დაეცნენ, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ.

---

# თბილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან.

მმართველობა თბილისის თავად-აზნაურობის ბანკისა, წესდების მე-15 § ძალით 17 თებერვალს 1881 წ. ამით აცხადებს, რომ ივნისის 22-ს ამ 1884 წ., შუადღის 12 საათზედ, თბილისში, ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზედ, თ. ბრუზინსკის სახლებში № 13, გაისყიდება უძრავი ქონება ვაჭრობის განუმეორებლად («უპერეტორჟკოთ») ქვემოდ მოხსენებულ პირთა, რადგანაც თავის დროზე არ შემოუტანიათ ხვედრი ფული რაც დაწესებულია ბანკის წესდების 13, 14, 15, 17, 18 და 19 პარაგრაფებით.

ჩიგიანოვი ალექსანდრე სოლომონის ძე. საბოსტნე ადგილი, ვენახი და მარანი 5600 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, მე-9 ნასილში № 677. თავნი ვალი 3813 მ. 55 კ., დარჩენილი 211 მ. 43 კ.—სულ ერთიანად 4,024 მ. 98 კ.

ქანანოვები: მაგდალინა პეტრეს-ასული და ნიკოლოზ დავითის-ძე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებით, ყველა მოწყობილობით და $190^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი, 1 არშინი და 188 გოჯი მიწით. ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში. 1 ნაწილში, დავითის და კომენდატის ქუჩებზე. თავნი ვალი 46,372 მ. 55 კ., დარჩენილი ვალი 4,591 მ. 54 კ.—სულ ერთიანად 50,964 მ. 9 კ.

არცრუნნი გრიგოლი და ანდრია იერემიას-ძენი: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, შენობებით, ბაღით და 1590 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, მე-4 ნაწილში; თავნი ვალი 56,551 მ. 90 კ., დარჩენილი [illegible] მ. 90 კ.—სულ ერთიანად 60,280 მ. 80 კ.

გეგელი ივანე თევდორეს-ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და სამ-სართულიანი ფლიგელი 150 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; ქ. თბილისში, მე-2 განყოფილებაში, მე-11 ნაწილში, პირველ მალაკნების ქუჩაზედ № 88. თავნი ვალი 2827 მანათი 60 კაპ., დარჩენილი 153 მანათი 10 კაპ.—სულ ერთიანად 2980 მანათი 70 კაპ.

ტერ-მიქელოვი ასლან გაბრიელის-ძე (აწ სოლომონ ივანის-ძის მაზუროვისა). ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ბაღით და მიახლოვებით 500 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. 1 ნაწილში, 1 განყოფილ. ქ. თბილისში, ოლგას გზა-ტკეცილზე, ჯვრის მახლობლად. თავნი ვალი 6597 მანეთი 72 კ., დარჩენილი 504 მანათი 72 კ.—სულ ერთიანად 7,102 მანათი 44 კაპ.

სულხანთვისა, მარიამ ივანეს ასული. ა) ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი ბალახონით, ბ) ორი თითო სართულიანი ქვით-კირის დუქანი 276 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, ქ. თბილისში: ა) მე-7 ნაწილში, 1 განყოფილებაში და ბ) მე-14 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ჩუღურეთში. თავნი ვალი 23,544 მ. 98 კ., დარჩენილი 2,527 მან. 30 კ.—სულ ერთიანად 26,072 მ. 28 კ.

მირიმანოვი ისაკი ზაქარიას-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ვენახით და 1488 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. მე-13 მარანცოვის ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. თბილისში. თავნი ვალი 3,958 მ. 64 კ., დარჩენილი 263 მ. 2 კ. სულ ერთიანად 4,221 მ. 66 კ.

აივაზოვი, გიორგი მიხაილის-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი 32 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. გორში. თავნი ვალი 1,696 მან. 56 კ. დარჩენილი 118 მ. 66 კ.—სულ ერთინად 1815 მ. 22 კ.

ბეჟანბეგოვისა ალექსანდრა თომას ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, სამოსამსახუროებით და 44 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით, მე-3 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში სასახლის ქუჩაზე. თავნი ვალი 6,597 მ. 71 კ., დარჩენილი 458 მანათი 28 კაპ.—სულ ერთიანად 7,055 მ. 99 კ.

გაბუნია მერაბ იაგორის ძე. ორი ქვითკირის სახლი: ორ-სართულიანი და ერთ-სართულიანი შენობებით და 125 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით, ქ. გორში: თავნი ვალი 3,641 მ. 41 კ., დარჩენილი 202 მ. 90 კ.—სულ ერთიანად 3,844 მან. 31 კ.

ზიაძლოვი, ვასილ ისაკის-ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სამოსამსახუროებით, სარდაბით, ფლიგელით, სარაიათი, ყოველივე მოწყობილობით და 368 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; ქ. თბილისში, მე-2 განყოფილებაში, მე-10 ნაწილში, კუკიაში, ნიკოლოზის და ალექსანდრეს ქუჩაზე №№ 851 და 4; თავ. 2560 მანათი 15 კაპ. დარჩენილი 71299 მანათი 90 კაპ.—სულ ერთიანად 26990 მანათი 4 კაპ.

კობიევისა ეკატერინე იოსების-ასული. ერთ-სართულიანი ქვიტკირის სახლი ფლიგელით, სარაიათი, თაღლით, მარნით, ბაღით, სამოსამსახუროთი, ყოველივე მოწყობილობით და 490 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით, ქ. თბილისში მე-2 განყოფილებაში, კუკიაში. თავნი ვალი 12,369 მ. 33 კ., დარჩენილი 420 მ. 44 კ.—სულ ერთიანად 12,729 მ. 77 კ.

ტერ-აფრიამოვი სტეფანე ნიკიტის ძე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით და $103^3/_{10}$ ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. მე-7 ავლაბრის ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. თბილისში კახეთის გზაზე;

თავნი ვალი 6,850 მ. 70 კ., დარჩენილი 508 მ. 87 კ.—სულ ერთიანად 7,359 მ. 57 კ.

კალინოვსკისა, პელაგია ანდრიას ასული, ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველივე მოწყობილობით და 100 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; ქ. თბილისში მე-2 განყოფილებაში, მე-10 ნაწილში; თავნი ვალი 3817 მ. 97 კ., დარჩენილი 200 მან. 80 კ.—სულ ერთიანად 4018 მან. 7 კ.,

ელიოზოვისა, მელისაბედ იაკობის-ასული: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით და ორივე ფლიგელი სარდაფით; ზომა მიწისა 203 ოთხ-კუთხი საჟენი; ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, ამაღლების ქუჩაზე. თავნი ვალი 10,466 მ. 37 კ., დარჩენილი 378 მ. 20 კ.—სულ ერთიანად 10,844 მ. 57 კ.

კოშორიძეები: გიორგი და დავით ალექსანდრეს-ძენი. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი მეზონინით, სამოსამსახუროთი და მიხლოვებით 217 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. მე-3 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში. თავნი ვალი 19,410 მ. 33 კ., დარჩენილი 2,422 მ. 91 კ.—სულ ერთიანად 21,833 მ. 24 კ.

მაჩაბლისა დარია გრიგოლის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი საყინულეთი და ორ-სართულიანი ფლიგელი, სარდაფით 380 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით; ქ. გორში. თავნი ვალი 11,417 მ. 44 კ., დარჩენილი 951 მ. 66 კ.—სულ 12,369 მ. 50 კ.

სპანდარიანისა ანნა ალაპარუნოვის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით და სამი ფლიგელით, ყოველი მოწყობილობით და 325 ოთხ-კუთხი საჟ. მიწლაქიმე-4 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში, სოლოლაკის ქუჩაზე № 816. თავნი ვალი 26,091 მ. 96 კ., დარჩენილი 1,529 მ. 96 კ.—სულ ერთიანად 27,621 მ. 57 კ.

ბერძენოვისა დარია გრიგოლის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ორი ორ-სართულიანი ფლიგელი 110 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით, 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში, მოსკოვის ქუჩის ზევით. თავნი ვალი, 6,850 მ. 70 კ., დარჩენილი 548 მ. 32 კ.—სულ ერთიანად 7,399 მ. 2 კ.

ჯორჯაძე, დავით ვახტანგის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით, თავის მოწყობილობით და 1443 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თელავში. თავნი ვალი 7,421 მ. 61 კ., დარჩენილი 502 მ. 64 კ.—სულ 7,924 მ. 25 კ.

გურგენბეგოვი ალექსანდრე ისაკის-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ორ-სართულიანი ფლიგელი 160 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. მე-11 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. თბილისში ახალ-არსენალის ქუჩაზე. თავნი ვალი 10476 მანათი 37 კაპეიკი, დარჩენილი 824 მანათი 44 კაპეიკი სულ—ერთიანად 11290 მანათი 81 კაპეიკი.

ტიტელ ფრანც სიმონის-ძე. ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და სამი თითო-სართულიანი ფლიგელი ყოველივე მოწყობილობით, ვენახით და 1412 და $^{80}/_{600}$ ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; ქ. თბილისში, მე-2 განყოფილებაში, მე-10 ნაწილში, მიხეილის ქუჩაზე. თავნი ვალი 13453 მანათი 97 კაპ., დარჩენილი 438 მანათი 40 კაპეიკი, სულ—ერთიანად 13892 მანათი 37 კაპ.

ნაზაროვი ალექსანდრე ივანეს-ძე. ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით და 180 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, მე-6 ნაწილში. თავნი ვალი 5708 მანათი 92 კაპ., დარჩენილი 391 მანათი 3 კაპ.—სულ ერთიანათ 6099 მანათი 95 კაპ.

ერისთავისა ნინო ალექსანდრეს-ასული. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი და სამ-სართულიანი ფლიგელი სარდაფის სართულით და 144 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. თბილისში მე-2 განყოფილებაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ. თავნი ვალი 5708 მან. 92 კაპ., დარჩენილი 92 მან. 20 კაპ.—სულ ერთიანათ 5801 მან. 92 კაპ.

ბექანოვი მიხეილ ბექანის-ძე. ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველივე მოწყობილობით და 640 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, ქ. თბილისში, მე-2 განყოფილებაში, მე-10 ნაწილში; თავნი ვალი 38146 მანათი 43 კაპ., დარჩენილი 2531 მანათი 61 კაპ.—სულ ერთიანად 40678 მანათი 4 კაპ.

ჩოლოყაშვილისა სოფიო კონსტანტინეს ასული. ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი სარდაფით და $68^{3}/_{4}$ ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. მე-3 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში, ორბელიანების ქუჩაზე. თავნი ვალი 6172 მანათი 32 კაპ., დარჩენილი 465 მან. 57 კაპ. სულ ერთიანად 6637 მან. 89 კაპ.

არწრუნები: გრიგოლი და ანდრია იერემიას-ძენი. სამ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, ქარვასლა ანუ სასტუმრო ეზო და ორ-სართულიანი ქვითკირის გალერეია 1,135 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. მე-4 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში, სასახლის ქუჩაზე. თავნი ვალი 380594 მანათი 77 კაპეიკი, დარჩენილი 34,174 მანათი 60 კაპ.—სულ 414,769 მანათი 37 კაპეიკი.

გაბაშვილები: ზაქარია გრიგოლი და მელანია დიმიტრის-ძენი. სახნავი და საბოსტნე ადგილები 4 დესიატინა 807 ოთხ-კუთხი საჟენი 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში. თავნი ვალი 2854 მანათი 47 კაპეიკი, დარჩენილი 211 მანათი 2 კაპეიკი—სულ ერთიანად 3065 მანათი 49 კაპეიკი.

მნაცაკანოვი ნერსეს ბაღდანის-ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ფლიგელი სარდაფით და ოთხი დუქანი სარდაფით და 110 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, მე-7 წილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. თბილისში, ავლაბარში. თავნი ვალი 5708 მანათი 92 კაპეიკი, დარჩენილი 296 მანათი 20 კაპეიკი—სულ ერთიანად 6005 მანათი 12 კაპეიკი.

ძიძიგური ივანე როსტომის-ძე. სამ-სამრთულიანი ქვითკირის სახლი ორ-სართულიანი ფლიგელით, სამოსამსახუროთი, ეზოთი და 57 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; ქ. თბილისში, მე-2 განყოფილებაში, მე-11 ნაწილში, სიმონსონოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 9566 მანათი 28 კაპეიკი, დარჩენილი 568 მანათი 57 კაპ.—სულ ერთიანად 10,134 მანათი 85 კაპ.

შაიკოვი (იგივე ტერ-დავიდოვი) მიხეილ ტერ-დავითის-ძე. ოთხ-სართულიანი ქვითკირის სახლი 52 ოთხ-კუთხი საჟენი და 7 არშინი მიწით; ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, მე-5 ნაწილში, პოლიციის ქუჩაზე. თავნი ვალი 7421 მანათი 61 კაპ., დარჩენილი 249 მანითი 46 კაპ.—სულ ერთიანათ 7671 მანათი 7 კაპ.

ენგიბაროვი არსენ-სულთანი: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ფლიგელი და ვენახი 3642 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. ერევანში. თავნი ვალი 9514 მანათი 87 კაპეიკი, დარჩენილი 565 მანათი 75 კაპეიკი—სულ ერთიანად 10,080 მანათი 62 კაპეიკი.

თუმანიშვილისა, სუსანა ბაღდანის-ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით და სამი ფლიგელი $104^{3}/_{10}$ ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. მე-5 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში, ოქრო-მჭედლების ქუჩაზე. თავნი ვალი 10,369 მანათი 96 კაპეიკი, დარჩენილი, 527 მანათი 16 კაპეიკი—სულ ერთიანად 10,897 მანათი 12 კაპეიკი.

კოზაღოვი, გრიგოლ იაგორას-ძე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით, ყველა მოწყობილობით და 84 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; მე-6 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში. თავნი ვალი 19,203 მანათი 63 კაპეიკი, დარჩენილი 1674 მანათი 02 კაპეიკი—სულ ერთიანად 20877 მანათი 65 კაპეიკი.

ბერდოლოვი ალექსანდრე სოლომონის-ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი მეზონინით, დუქნით და ორი თავლით, ზომა მიწისა 600 ოთხ-კუთხი საჟენი, ქ. თბილისში, მე-2 განყოფილებაში, მე-11 ნაწილში. თავნი ვალი 3086 მანათი 49 კაპ., დარჩენილი 213 მანათი 8 კაპ.—სულ ერთიანად 3299 მანათი 57 კაპ.

ბარათაშვილი, ნიკოლოზ გრიგოლის-ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სამოსამსახუროთი და დუქნები 1,382 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. მე-6 ვარანცოვის ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში. თავნი ვალი 8641 მანათი 64 კაპეიკი, დარჩენილი 771 მანათი 75 კაპეიკი—სულ ერთიანათ 9413 მანათი 39 კაპეიკი.

გაბაშვილი ალექსანდრე ზაქარიას-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფი, ფლიგელით და 160 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, მოსკოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 6401 მანათი 19 კაპ., დარჩენილი 450 მანათი 47 კაპ.—სულ ერთიანად 6851 მანათი 66 კაპ.

მაზუროვები: გრიგოლი და სოლომონ ივანეს-ძენი. 1 ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, სამ-სართულიანი ფლიგელი, ფურნე, თავლა და სახილე ბაღი 714 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, და 2) ვენახი მარნით და მიწით სიგძით 63 საჟენი, სიგანით სამხრეთის მხრივ 10 საჟენი და ჩრდილოეთის მხრივ 9 საჟენი. ქალაქ სიღნაღში. თავნა ვალი 3874 მანათი 49 კაპეიკი, დარჩენილი 407, მანათი 80 კაპეიკი—სულ ერთიანად 4282 მანათი 29 კაპეიკი.

პაშკევიჩისა მარიამ პეტრეს-ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, სარაიათი, თავლით და 321 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. თბილისში, მე-2 განყოფილებაში, მე-9 ნაწილში, ნიკოლოზის ქუჩაზე. თავნი ვალი 29058 მანათი, დარჩენილი 1443 მანათი—სულ ერთიანად 30501 მანათი 69 კაპ.

(ნახე მე-5 გვერდი)

თავნი ვალი 29058 მანათი 69 კაპ., დარჩენილი 1443 მანათი—სულ ერთიანათ 30,501 მანათი 69 კაპ.

ბოლქვაძე იოსებ დავითის-ძე. სამი თითო სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით და 91 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, ქ. გორში. თავნი ვალი 2905 მ. 87 კ. დარჩენილი 193 მანათი 36 კაპ.—სულ ერთიანად 3099 მანათი 23 კაპ.

თუმანიშვილები: კონსტანტინე, ნიკოლოზი და მიხეილ გიორგის-ძენი: თორმეტი თითო-სართულიანი დუქანი 400 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, ვორონცოვის ნაწილში. თავნი ვალი 2930 მანათი 46 კაპ., დარჩენილი 187 მანათი 10 კაპ.—სულ ერთიანათ 3117 მანათი 56 კაპ.

